882

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
2 თებერვალი
1940 წ.
№ 26 (5727)
ფასი 10 კაპ

დღეს გაზეთში:

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე (მე-2 გვ.)

გმირი სედოველები ლენინის ქალაქში (1-ლი გვ.)

მოსკოველები ძვირფას სტუმრებს მოელიან (1-ლი გვ.)

საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია უცხოეთიდან დაბრუნდა (1-ლი გვ.)

პოლკოვნიკი ე. ბოლტინი—ნიჭიერი პროლეტარული სარდალი (მე-2 გვ.)

ფართოდ გავშალოთ პრესის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მოწინავეობის უფლებისათვის (მე-2 გვ.)

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)

შ. ჯიჭია—საჭართველოს კურორტებმა საბრძოლველად უნდა იმუშაონ (მე-3 გვ.)

„გადასასვლელზე“ გორის სახელმწიფო თეატრში (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

ჰიტლერის სიტყვა (მე-4 გვ.)

გაზეთი „ვილნიაუს ბალსასი“ ვილნოს საკითხში ინგლის-საფრანგეთის გლოვის ზრახვების შესახებ (მე-4 გვ.)

მადლობა

გულითად მადლობას ვწირავ ყველა ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, ჯგუფებს, დაწესებულებებს, პირებს, რომელებმაც გამომიგზავნეს მოლოცვები და კეთილი სურვილები ჩემი სამოცი წლის შესრულების გამო.

ი. სტალინი

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე

მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთხელ კიდევ მოახდინა თავისი მორალურ - პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია, ერთსულოვნად აირჩია რა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. საბჭოებში არჩეულ იქნენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატები, რომელნიც ბოლომდე ერთგული არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისა, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისა.

საბჭოებში არჩეული დეპუტატები, — ესენი არიან საბჭოთა ხალხის რჩეული ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი ნამდვილად გაამართლონ ამომრჩეველთა მაღალი ნდობა და თავდადებულად იბრძოლონ სოციალიზმის ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობა ჯერშორიტად რომ მრავალფეროვანია. მათ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ქალაქებისა და სოფლების გარდაქმნისა და კეთილმოწყობის დარგში. საბჭოების ენერგიული მუშაობის მეოხებით ქალაქებმა და სოფლებმა სახე იცვალეს; აყვავდნენ და გაიფურჩქნენ ლამაზ-ლამაზად ნაგები შენობებით, ფართო ქუჩებითა და გზებით, ბაღებითა და სკვერებით, კულტურული და კეთილმოწყობილი დაწესებულებებით და სხვ.

საბჭოების ნაყოფიერ მუშაობას უნდა მიეწეროს, რომ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი თბილისი დღეს მთელს საბჭოთა კავშირში ერთერთ მოწინავე და სანომუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქად ითვლება. ასევე ბუმბერაზულად აყვავდნენ და გაიფურჩქნენ ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, სტალინირი, ფოთი, გორი და სხვა ქალაქები, რომლებსაც წინათ პროვინციულ ქალაქებს უწოდებდნენ. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში კოლხიდაში წარმოიშვნენ ახალი სოფლები, რომლებიც თავისი კეთილმოწყობით კოპწია პატარა ქალაქებს მოგვაგონებენ. საკოლმეურნეო მშენებლობის მძლავრმა გაქანებამ ხელი შეუწყო სოფლების კულტურულად მოწყობას. ფართო და განიერი გზები, მწვანე ნარგავები, ახალი სასკოლო და საკლუბო შენობები, სავაჭრო მაღაზიები, წყალსადენები, რადიო და სხვ. — აი, რით ხასიათდება ახლა საბჭოთა სოფლების დიდი უმრავლესობა. ყველა ამ საქმეში ადგილობრივ საბჭოებს დიდი ღვაწლი მიუძღვით.

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე პირველად არჩეულმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმაც სწორედ აქედან უნდა დაიწყონ მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოების პირველმა სესიებმა, რომლებიც არჩევნებისთანავე ჩატარდა, ჩამოაყალიბეს საბჭოების ხელმძღვანელი ორგანოები. თვითეულ საბჭოსთან შექმნილია მუდმივად მომქმედი კომისიები. ამ კომისიებში სამუშაოდ გამოყოფილი არიან ყველაზე უფრო მოწინავე და ენერგიული დეპუტატები, რომელთაც დიდი ენერგია და უნარი გააჩნიათ შემოქმედებითი პრაქტიკული მუშაობისათვის. დეპუტატებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ გრანდიოზული მუშაობა მოელით. ისინი მოვალენი არიან ამ სამუშაოთა განხორციელებას ეხლავე საქმიანად მოჰკიდონ ხელი.

საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საკითხებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო მოხმარების სხვადასხვა საგნებით მასების მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში. ცოტა როდია ისეთი მაგალითები, როდესაც მრავალი სახის ფართო მოხმარების საგნები, რომლის დამზადებაც ადგილზე შეიძლება და რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა, არ იშოვება რაიონში თუ სოფლად. ავიღოთ თუნდაც სამშენებლო მასალა: აგური, კრამიტი, კირი, ხე-ტყე, ავეჯეულობა, ლურსმანი, ნალები, ძვლის და ხის მრავალკბილა იაფფასიანი სავარცხლები, ანდა ჩემოდნები და კალათები. ყველა ამ საგნების დამზადება შეიძლება, თუ ადგილობრივი მრეწველობის კიდევ უფრო განვითარების სერიოზული ყურადღება მიექცევა.

რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები თანდათანობით უკვე ჰკიდებენ ხელს ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეს და ეს მისასალმებელია. თელავის საქალაქო საბჭომ წამოიწყო და ამთავრებს კრამიტის მექანიკური ქარხნის აგებას, რომელიც წელიწადში 500 ათას ცალ კრამიტს მისცემს, რაც ძირითადად დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. გორის საქალაქო საბჭომ მოაწყო საოჯახო ავეჯეულობის სარემონტო სახელოსნო, რითაც დიდად სარგებლობენ ქალაქის მშრომელები. ზესტაფონის საქალაქო საბჭომ დასახა ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის ფართოდ განსავითარებლად და უკვე შეუდგა მათ გატარებას ცხოვრებაში. საბჭოებმა ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩააბან სარეწაო კოოპერაციის ადგილობრივი ორგანიზაციები.

საბჭოების მუშაობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე შეუნელებელი ზრუნვა სკოლებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა კეთილმოწყობაზე, როდესაც საკმარისი, რომ იყოს კარგი სასკოლო შენობა, აფთიაქი, საავადმყოფო და სხვა დაწესებულება. ამავე დროს საბჭომ ხელი უნდა მოჰკიდოს მათ კეთილმოწყობას, პედაგოგიური და საექიმო პერსონალით უზრუნველყოფის საქმეს, ამავე დროს პედაგოგებს, ექიმებს და გათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე ყველა მომუშავეს შეუქმნას მუშაობისათვის ნორმალური პირობები.

ნაკლები ყურადღება არც კოლმეურნეთა კარმიდამოს კეთილმოწყობას უნდა მიექცეს. საბჭოებს ბევრი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ კოლმეურნეობის გამწვანების, ხეივნებისა და ბაღების მოწყობის საქმეში, განსაკუთრებით დაგეგმარებისა და რჩევა-დარიგების მიცემით.

საბჭოების ერთერთ დიდ საზრუნავს წარმოადგენს რაიონული და სასოფლო მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობა. საბჭოებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ გზები რაიონის ცენტრამდე და თვით სასოფლო საბჭოს უბნებში ხელმდაყრილი და კარგად დატკეპნილი იყოს. ტალახი და უსუფთაობა აღარ უნდა ახასიათებდეს საკოლმეურნეო სოფლის შარაგზებს.

სოფლად კულტურული მუშაობის ცენტრს წარმოადგენს კლუბი და სამკითხველო. საბჭოებმა, ბევრგან მშვენივრად ნაგები კლუბ-სამკითხველოს შენობები უქმად გამოიყურებიან. სოფელ ფშაველის და ნაფარეულის (თელავის რაიონი) საკლუბო შენობები, რომლებიც ადგილობრივ მშრომელთა მონაწილეობით აშენდა, გამოუყენებელია. იშვიათად თუ მოეწყობა წარმოდგენა ან სხვა რაიმე გასართობი საღამოები. იგივე უნდა ითქვას რადიომიმღებებზეც. ბევრ სოფელში სამკითხველოებთან დადგმულია რადიო-მიმღებები, მაგრამ არ მუშაობენ. თუ ადგილობრივი საბჭო მზრუნველობას გამოიჩენს მათს ამუშავებაზე, ისინი გაკეთდება კიდეც.

მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები ბოლშევიკურად ემზადებიან 1940 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. საბჭოების მოვალეობაა აქტიურად ჩაებან მოსამზადებელ მუშაობაში და ენერგიული დახმარება გაუწიონ ადგილობრივ კოლმეურნეობებს, მტს-ებს და ცალკეულ მოწინავე ადამიანებს მათი მიღწევების გამოვლინებისა და ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა განსაკუთრებული სიძლიერით უნდა დააყენონ საკითხი მასობრივი თავდაცვითი მუშაობის გასაძლიერებლად, თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოებსა და პირველად ორგანიზაციებს გაუწიონ საქმიანი დახმარება მრავალი სახეობის თავდაცვითი ნიშნობების მომზადებისა და გამოწრთვნის საქმეში. მათ უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ თვითეული საწარმო და კოლმეურნეობა ნამდვილად გადავაქციოთ თავდაცვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს დიდი მოვალეობა აკისრიათ. ყველა აღნიშნული სამუშაო მათი უშუალო და აქტიური მონაწილეობით უნდა შესრულდეს. თვითეულმა დეპუტატმა თავის ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს აქტივი. ეს აქტივისტები ადგილებზე დიდი რაოდენობით არიან, მათ შორის ისინი, ვინც მუშაობის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დროს. აქტივისტთა სწორედ ამ მძლავრ არმიას შეუძლია დეპუტატებთან ერთად გადასწრას მეტად დიდი და სერიოზული ამოცანები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას, მთელ ჩვენს ხალხს დაუსახა თავის შესანიშნავ მოხსენებაში XVIII პარტყრილობაზე ხალხთა გენიალურმა ბელადმა დიდმა **სტალინმა.**

ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

1 თებერვლის განმავლობაში ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ჩვენი ავიაცია აწარმოებდა სადაზვერვო ფრენას და საბრძოლო მოქმედებას სამხედრო ობიექტებზე, რომელთა ღრის ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი.

გმირი სედოველები ლენინის ქალაქში

ლენინგრადი, 1 თებერვალი (საკდესი). ლენინგრადის მშრომელნი მოუთმენლად ელოდნენ სახელოვანი, გმირი სედოველების ჩამოსვლას. ბევრი სედოველები ლენინგრადში იზრდებოდა, აქ გადიოდა ბოლშევიკური გამოწრთობის სკოლას, სწავლობდა, ეუფლებოდა ცოდნას, აქედან მიდიოდა შორეული ჩრდილოეთისაკენ. ლენინგრადის ქარხნის გემხარიხებზე ააგეს საბჭოთა არქტიკული ფლოტის ფლაგმანი, ყინულმჭრელი „ი. სტალინი“, რომელმაც სედოველები გაათავისუფლა ყინულის ტყვეობიდან.

რადიორეპორტიორებმა ჯერ კიდევ დილაადრიან გაავრცელეს ცნობა — მატარებელი, რომლითაც ძვირფასი სტუმრები მოდიან, ლენინგრადს უახლოვდებაო.

დილის 9 საათისათვის ვაგზლის მოედანი და 25 ოქტომბრის სახელობის განიერი პროსპექტი ათეულ ათასობით ადამიანმა აავსო.

მოსკოვის ვაგზლის პერონზე თავი მოიყარეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ფაბრიკებისა და ქარხნების, წითელი არმიის, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. შემგებებელთა შორის არიან: საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები ამხ. კუზნეცოვი, სმირნოვი, მახანოვი, ბუმაგინი და ნიკიტინი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი ამხ. პოპკოვი და სოლოვიოვი, შინსახკომის ლენინგრადის ოლქის სამმართველოს უფროსი ამხ. გოგლიძე, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები და სხვ.

9 საათსა და 40 წუთზე პერონზე ეწყობა საპატიო ყარაული. მატარებელი ნელა მიადგება დებარკადერს. სედოველები ვაგონიდან გამოდიან, მათ მისალმების შეძახილებითა და „ვაშას“ ძახილით ხვდებიან.

საპატიო ყარაულის უფროსი პატაკით მიმართავს ამხ. პაპანინსა და ბადიგინს.

სედოველები მიემართებიან ვაგზალთან გამართული ტრიბუნისაკენ. ფაბრიკების, ქარხნებისა და დაწესებულებათა დელეგაციები მჭუხარე ოვაციით მიესალმებიან არქტიკის დამპყრობთ, გრგვინავენ ორკესტრები. ლენინგრადელები ცოცხალ ყვავილთა ახალ-ახალ თაიგულებს უძღვნიან მამაც პოლარელებს.

მიტინგს ხსნის მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პოპკოვი.

— ლენინგრადის მშრომელთა სახელით ვულოცავ ლეგენდარულ ყინულმჭრელ „სედოვის“ ეკიპაჟის გმირებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას, — ამბობს ამხ. პოპკოვი. — ლენინგრადის მშრომელნი, მთელ მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხთან ერთად, მიესალმებიან სედოველებს, როგორც სახალხო გმირებს, სტალინური მოდგმის ღირსეულ წარმომადგენლებს.

ისეთი ადამიანები, როგორნიც თქვენა ხართ, ამხანაგო სედოველებო, და ათასობით თქვენისთანა გმირები შეიძლებოდა გაზრდილიყვნენ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, ქვეყანაში, რომლის პატრონი თვით საბჭოთა ხალხია. თქვენისთანა ადამიანების აღზრდა შეეძლოთ მხოლოდ საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისა) და მის ბრძენ ბელადს დიდ **სტალინს.**

ის, რაზედაც მხოლოდ ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესოთა შორის უკეთესნი, ჩვენი დიდი ქვეყნის ისეთი მოწინავე მეცნიერნი, როგორნიც იყვნენ ლომონოსოვი და მენდელეევი, ძლევამოსილად განახორციელა არქტიკის საბჭოთა გმირების თაობამ.

მთელი 812 დღის დრეიფის განმავლობაში თქვენზე ფიქრობდა, თქვენთვის მამობრივ მზრუნველობას იჩენდა ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ადამიანი — იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი.** სწორედ მისი დავალებით იდგნენ მზად ძლავრი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი ყინულმჭრელები, რათა საჭირო მომენტში სათანადო დახმარება აღმოეჩინათ თქვენთვის.

და როცა ეს მომენტი დადგა, მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ იყო დარაზმული, რომ საფლაგმანო ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი“ შეესრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებას.

სიხარული და ბედნიერება აღავსებს ლენინგრადელთა გულს თქვენთან შეხვედრის ამ საზეიმო ჟამს, მშობლიური სედოველებო.

როცა ამხ. პოპკოვი დღეგრძელობას უსურვებს მამაც პოლარელებს, მჭუხარე ტაში გრგვინავს მოედანზე. გაისმის მისალმებანი დიდი **სტალინის** პატივსაცემად, სედოველების პატივსაცემად.

მიკროფონთან მიდის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის გემთა წარჩინებული მშენებელი ამხ. იაცინოვი.

— ლენინის ქალაქის მშრომელნი, — ამბობს იგი, — ამ სასიხარულო დღეს განსაკუთრებით ამაყობენ იმით, რომ არქტიკული ფლოტის ფლაგმანმა „იოსებ სტალინმა“, რომელიც აგებულია ლენინგრადში, ყინულის ტყვეობიდან გაათავისუფლა ლეგენდარული ყინულმჭრელი „სედოვი“ და დიდ მიწაზე მოიყვანა გმირი ეკიპაჟი.

თქვენი გმირობა, ძვირფასო სედოველებო, ლენინის ქალაქის მშრომელებს აღაგზნებს ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის საბრძოლველად. ჩვენ ახლა ვაშენებთ მეორე მძლავრ სანაზო ყინულმჭრელს „ვიაჩესლავ მოლოტოვს“ და ვეცდებით, რომ მისი მშენებლობა სარეკორდო მოკლე ვადაში დამთავრდეს. ჩვენი საზღვაო და საოკეანო დიდი ფლოტის გემები საუკეთესო გემები იქნებიან მსოფლიოში.

ტრიბუნაზეა ლეიტენანტი კუბატკო. იგი სედოველებს გადასცემს მხურვალე წითელარმიელ სალამს მთქმედი წითელი არმიის მებრძოლების და მეთაურების სახელით, რომელნიც იბრძვიან ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე.

— ჩვენ, მთქმედი წითელი არმიის მებრძოლნი, ვანადგურებთ თეთრფინელთა ბანდებს, — აცხადებს ამხ. კუბატკო. ჩვენ მტკიცე სიტყვას ვიძლევით — საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ ისეთივე სახელითა და დიდებით მოსილნი დავბრუნდეთ, როგორც დაბრუნდით თქვენ, მამაცო სედოველებო.

ჩვენც, ფრონტზე მებრძოლნი, და თქვენც, ბუნების დამორჩილებისათვის მებრძოლნი, ჩვენ ყველანი ერთი ხალხის შვილნი ვართ, მშობლიური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის აღზრდილნი ვართ. სწორედ პარტიამ შთაგვბერა ჩვენ გამარჯვების ნებისყოფა, სწორედ იგი მიგვიძღვებოდა და მიგვიძღვება ჩვენ დიდების ერთი მშვენიერალიდან მეორე მშვენიერალისაკენ. ჩვენ ლენინთან ერთად ალგვზარდა მშრომელი კაცობრიობის დიდმა მასწაფლებელმა და ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებული ებრძვით ბრძოლაში გმირი წითელი არმია. მისი სახელით აღფრთოვანებული, ამარცხებს იგი მტრებს და მიაღწევს სრულ გამარჯვებას.

სიტყვა ეძლევა ყინულმჭრელ „გ. სედოვის“ კაპიტანს კ. ს. ბადიგინს. ლენინგრადელები აღტაცებით უკრავენ ტაშს ძვირფას სტუმარს—მამაც ზღვაოსანს.

— ნება მომეცით ჩემი სახელითა და ყველა ჩემი ამხანაგი სედოველის სახელით ძმური ბოლშევიკური სალამი გიძღვნათ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლენინგრადელებო, — მოჰმართავს ამხ. ბადიგინი შეკრებილთ.—მთელი ჩვენი დრეიფის განმავლობაში ჩვენ ვგრძნობდით ყოველდღიურ მეგობრულ მზრუნველობას, რასაც იჩენდა ჩვენდამი მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი.

„სედოვის“ რადიოსადგური ჩვენ ყოველდღე გვაწვდიდა ჩვენი თანამემამულეებისაგან, ჩვენი მეგობრებისაგან მისალმებისა და სიყვარულის სიტყვებს. იგი სამჯერ გახდა ღირსი მაღალი პატივისა—მიეღო კრემლიდან გამოგზავნილი მისალმებანი ამხანაგ **სტალინისა** და ამხანაგ **მოლოტოვისა.** ეს მხურვალე მზრუნველობა, რასაც იჩენდნენ ჩვენდამი, უბრალო საბჭოთა ადამიანებისადმი, გვხიბლავდა, გულს გვიჩუყებდა, ძალას გვაძლევდა შემდგომი ბრძოლისათვის, გამარჯვებისათვის. ახლაც, დიდ საბჭოთა მიწაზე, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ და ვგრძნობთ, თუ როგორ უყვარს ჩვენს ქვეყანას თავისი შვილები, სამშობლოს, თავისი ხალხის, თავისი პარტიის ერთგული შვილები.

ყინულებში პოლარული ღამის წყვდიადში ჩვენ შეგვეგება არქტიკული ფლოტის საუკეთესო გემი, რომლის რეისსაც ამხ. პაპანინი ხელმძღვანელობდა. მაღაროელთა ოჯახებში, მურმანსკში, ლენინის სახელოვან ქალაქამდე მთელი გზის მანძილზე, ყველა დიდ თუ მცირე სადგურზე საბჭოთა პატრიოტები გულთბილი მეგობრობისა და სიყვარულის სიტყვებით გვეგებებოდნენ. ყოველივე ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ადამიანების ურყევი სოლიდარობის, უმტკიცესი მონოლითობის გრძნობებს. ჩვენი ქვეყანა ერთიანი, ურღვევი, უძლეველი საბჭოთა ოჯახია, ყველა ქვეყნის მშრომელთა მოწინავე რაზმია, რომელიც ბოლშევიკური პარტიისა და კაცობრიობის გენიოსის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით სულ ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს.

ჩვენი საბჭოთა ოჯახი მტკიცეა. ჩვენი ოჯახი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბურჯი და იმედია. ჩვენი კომუნისტური ოჯახი ისე უხათებს მთელ მსოფლიოს, რა გორც იმედისა და ბედნიერი მომავლის კაშკაშა ვარსკვლავი. ჩვენს დიდ, ბრძენ მამას ამხანაგ **სტალინს** მშვიდად და მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო წინ და წინ.

მადლობას გიძღვნით, ამხანაგო ლენინგრადელებო, გულთბილი შეხვედრისათვის. მადლობას ვუძღვნით ჩვენს სამშობლოს იმ სიყვარულისათვის, რომლითაც იგი ჩვენ გვეგებებოდა. მადლობას ვუძღვნით ჩვენს პარტიას იმ სიბრძნისათვის, რომელიც დაგვეხმარა ნათლად გვეცქირა წინ და გაგვემარჯვებინა.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას, ჩვენს მასწავლებელს, ჩვენს მეგობარს ამხანაგ **სტალინს!**

მიკროფონთან მიდის საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. პაპანინი. მას ოვაციით ხვდებიან.

— ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ პარტიამ, მთავრობამ და პირადად ამხანაგმა სტალინმა დაგვავალეს გამოგვეყვანა ყინულმჭრელი გემი „გ. სედოვი“ სუსხიანი არქტიკის ყინულებიდან, — ამბობს ამხ. პაპანინი, — სახაზო ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ ეკიპაჟმა შეასრულა სტალინური დავალება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი უდიდესი სიყვარულითა და სიხარულით ეგებებიან თავიანთ მამაც შვილებს. სედოველები საბჭოთა ხალხის მამაცობის, კეთილშობილობისა და გმირობის განსახიერებას წარმოადგენენ. საბჭოთა ადამიანები, თავისი სამშობლოსადმი სიყვარულით აღფრთოვანებულნი, ბოლშევიკური პარტიის, თავიანთ ბელადის ამხანაგ **სტალინის** ღრმად ერთგულნი, ბრწყინვალე საგმირო საქმეებს ჩადიან სამშობლოს სადიდებლად.

ჩვენ გვიყვარს სამშობლო და მის აყვავებას მოვახმარებთ მთელ ჩვენს ძალას. ვერასოდეს და ვერაფერ ვერ შესძლებს წაგვართვას ჩვენი ბედნიერება, ჩვენი სასიხარულო ცხოვრება.

ჩვენი ქვეყნისაკენ, როგორც კაშკაშა შუქურისაკენ, მოპყრობილია ყველა ქვეყნის მშრომელთა თვალი. საბჭოთა მთავრობასა და ფინეთის სახალხო მთავრობას შორის ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულების თანახმად, მძლავრი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დახმარებას უწევენ ფინელ ხალხს მანერჰაიმ-ტანერების თეთრგვარდიელთა ბანდების ულოლიავან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. წითელი არმიის დახმარებით ფინელი ხალხი ძლევამოსილად დამთავრებს ამ ბრძოლას.

იქ, ფრონტზე, საბჭოთა ხალხის შვილები გვიჩვენებენ გმირობის, მამაცობისა და თავდადების ნიმუშებს. მათ საგმირო საქმეებსა და სედოველთა გმირობას ერთიდაიგივე ნიადაგი აქვს — ეს არის უსაზღვრო სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი.

ჩვენი ქვეყნის ისტორია აღსავსეა სასახელო საგმირო საქმეებით. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხი, რომელმაც აამენე სოციალიზმი, გმირი ხალხია. იგი გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავთ ბოლშევიკების პარტიას და ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. პაპანინი შესძახებს:

— გაუმარჯოს ბოლშევიკურ გამარჯვებათა გენიალურ ორგანიზატორს, ჩვენს მხურვალედ საყვარელ **სტალინს!**

ჰგრგვინავს ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. მოედანს ეფინება პროლეტარული ჰიმნის ხმები.

მიტინგი დამთავრდა. სედოველები მანქანებისაკენ მიემართებიან. პროსპექტზე მათ ელიან ათეული ათასობით ლენინგრადელები. ხალხი აღტაცებით მიესალმება თავის გმირებს, რომელებმაც ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩასწერეს არქტიკის ათვისებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

მოსკოველები ძვირფას სტუმრებს მოელიან

დედაქალაქი ემზადება, რომ მხურვალედ შეეგებოს მამაც სედოველებს, რომლებიც გამარჯვებულნი ბრუნდებიან სამშობლოში.

დედაქალაქის მოსახლეობაში დღითიდღე იზრდება ინტერესი იმ ღონისძიებისა და მოხსენებებისადმი, რომლებიც მიძღვნილია გმირული დრეიფის ისტორიისადმი, „სედოვის“ თავდადებული ეკიპაჟის სახელოვანი საქმიანობისადმი. ათასობით მშრომელებმა მოისმინეს ლექციები სედოველების შესახებ, რომელიც გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ე. ტ. კრენკელმა შჩერბაკოვის სახელობის ფაბრიკაში, კავშირგაბმულობის მუშაკთა კლუბში, მასწავლებლის საქალაქო სახლში, საკისრის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველ სახელმწიფო ქარხანაში, ლენინის, ტაგანსკის და კიროვის რაიონების ლექტორიუმებში. „სედოვის“ დრეიფის შემდეგ მთელი რიგი ლექციები წაიკითხა აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. მ. ტ. სლეპნიოვმა, პროფესორმა ნ. ნ. ზუბოვმა და სხვებმა. მოსკოვის საქალაქო საბჭოს ცენტრალურ სალექციო ბიუროში დაწერილებულებათა და საწარმოთა კოლექტივებისაგან 100-ზე მეტი განცხადება შემოვიდა ლექციებზე „სედოვის“ დრეიფის შესახებ.

კულტურის სასახლეებსა და კლუბებში სედოველებისადმი მიძღვნილი გამოფენები ეწყობა, გამოფენილია დრეიფის რუქები. ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში მზადდება გამოფენა, სადაც გამოფენილი იქნება საგანგებო სტატიები და ცნობები „სედოვის“ დრეიფის შესახებ, ყინულმჭრელ „ი. სტალინიდან“ და „გ. სედოვიდან“ მიღებული ფოტოსურათები.

სედოველების შეხვედრისათვის მოსკოვის მახლობელ ორანჟერიებში გაახარეს რამდენიმე ათასი მათიოლა, სუმბუოლი, ტიტა და იასამანი. (საკდესი).

საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია უცხოეთიდან დაბრუნდა

საუბარი დელეგაციის ხელმძღვანელ ამხ. ს. ვ. კაფტანოვთან

მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბრატისლავაში სლოვაკური უნივერსიტეტის გახსნის გამო გამართულ ზეიმში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. ვ. კაფტანოვი, პროფესორები დ. გ. ვილენსკი, ს. ა. ნოვიკოვი, დ. ი. დეინეკა და ა. შ. ეგოლინი. დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. კაფტანოვმა საკდესის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— საბჭოთა დელეგაცია დაესწრო სლოვაკიის უნივერსიტეტის საზეიმო სხდომას, რომელიც მიეძღვნა სლოვაკიის პრემიერ მინისტრის ბ-ნი ტუკას არჩევას უნივერსიტეტის პირველ რექტორად. ამ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის სახელით მე სიტყვა გამოვთქვი, რომ სლოვაკიის მეცნიერება და კულტურა წარმატებით განვითარდეს და რომ მისი მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან განმტკიცდეს.

საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია დაესწრო დაბაზობას სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ტისოსთან და მიიღებას პრემიერ მინისტრ ბ-ნ ტუკასთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ დურჩანსკისთან და ქალაქ ბრატისლავის ბურგომისტრ ბ-ნ კოვაჩთან.

ჩვენ ეხვდებოდით სლოვაკიის უნივერსიტეტის პროფესორებს, გავეცანით უნივერსიტეტის მეცნიერულ და სასწავლო მუშაობას, სწავლების მეთოდებს, სასწავლო ხელმძღვანელობას, ლაბორატორიების, კლინიკებისა და კაბინეტების მუშაობას. საბჭოთა დელეგაციამ ინახულა აგრეთვე ბრატისლავის სხვა კულტურული დაწესებულებანი — მუზეუმები, სკოლები, კლინიკები, დაათვალიერა ისტორიული ძეგლები. სლოვაკიის მთავრობის მიწვევით, ჩვენ, სხვა დელეგაციებთან ერთად, სლოვაკიის მოსკოველი ელჩის ბ-ნი ტისოს თანხლებით ვიმგზავრეთ სლოვაკიის სხვადასხვა ქალაქში — პიშჩანში, ტრენჩინსკე ტეპლიცში, რუჟომბეროკში და სხვებში, სადაც გავეცანით კულტურულ და საკურორტო დაწესებულებებს. სლოვაკიაში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში საბჭოთა დელეგაციას მუდამ გულთბილად და ტრადიციულ სტუმართმოყვარეულად ხვდებოდნენ.

უკან დაბრუნებისას ჩვენ რამდენიმე დღით შევჩერდით ბერლინში, სადაც სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან გერმანიაში ამხ. ა. ა. შკვარცევთან ერთად ვინახულეთ ბერლინის უნივერსიტეტი, სახელმწიფო ბიბლიოთეკა, უმაღლესი ტექნიკური სკოლა, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები დაღემში, ზოგადი განათლებისა და სპეციალური საშუალო სკოლები, დავესწარით პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო წლიურ კრებას.

დელეგაციამ დაათვალიერა ცნობილი გერმანელი ჭირურგის პროფესორ ზაურბუხის კლინიკა და უნივერსიტეტის ჰიგიენური ინსტიტუტი, ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიები. აქ ჩვენ გვიჩვენეს მთელი რიგი ახალი საცდელი ხელსაწყოები. ბიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიებში გვიჩვენეს უახლესი რამ, რაც მიღებულია ფილტრადი ვირუსების გამოკვლევის დარგში.

დელეგაცია დაესწრო სადილს, რომელიც განათლების ს

ნიჭიერი პროლეტარული საარდალი

(მ. ვ. ფრუნზეს დაბადების 55 წლისთავისათვის)

1885 წლის 2 თებერვალს (21 იანვარს ძველი სტილით) დაიბადა ჩვენი დროის ერთერთი უშესანიშნავესი ადამიანი, მგზნებარე რევოლუციონერი - ბოლშევიკი და გამოჩენილი პროლეტარული სარდალი მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზე. იგი დაიბადა სემირეჩიეს ოლქის ქ. პიშპეკში (ამჟამად ქ. ფრუნზე) მამა მისი — ყოფილი ყმა — ფერშალი იყო.

1904 წელს ახალგაზრდა ფრუნზემ გიმნაზია დაამთავრა ქალაქ ვერნში და შევიდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 20 წლის ჭაბუკის წინაშე დაისახა პერსპექტივა — გამხდარიყო ინჟინერ-ეკონომისტი. მაგრამ ფრუნზემ ცხოვრების სრულიად სხვა გზა აირჩია.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას მიხეილ ფრუნზეს აინტერესებდა რევოლუციური იდეები, მუშაობდა წრეებში. 1904 წელს, როცა იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კურსზე იყო, შევიდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, ამასთან მაშინვე მიემხრო მის ბოლშევიკურ ფრთას და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ბოლშევიზმის ურთგული დარჩა.

მთელი თავისი სიცოცხლე ამხ. ფრუნზემ რევოლუციურ მუშაობას მოანდომა.

1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, მიხეილ ფრუნზე დაპატიმრეს „სტუდენტთა არეულობაში“ მონაწილეობისათვის და გადაასახლეს ქალაქ შუიაში (ყოფ. ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნია). აქ იგი მუშა ფეიქრების საყვარელი ორგანიზატორი და აგიტატორი გახდა. შუიაში და ივანოვო-ვოზნესენსკში თითქმის სამ წელიწადს მოღვაწეობდა მიხეილ ვასილის-ძე. 1907 წლის დამდეგს იგი კვლავ დაპატიმრეს; ამჯერად მას აბრალებდნენ პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას. სასამართლომ ამხ. ფრუნზეს ჩამოღრმობა მიუსაჯა; ეს განაჩენი ათი წლის კატორღით შეუცვალეს.

ხუთი წელი (1909-დან 1914 წლამდე) დაჰყო მ. ვ. ფრუნზემ ციმბირის კატორღაში. შემდეგ იგი გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში, სადაც დასახლებულთა შორის რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა, ისევ დააპატიმრეს, გაიქცა კატორღიდან, მუშაობდა დასავლეთის ფრონტზე მიხაილოვის გვარით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში მიხეილ ვასილის-ძე საბარიკადო ბრძოლებს ხელმძღვანელობდა. ივანოვოს ფეიქართა ორიათასიანი რაზმის სათავეში ამხ. ფრუნზემ იერიში მიიტანა სასტუმროო „მეტროპოლზე“, სადაც გამაგრებული იყვნენ შეიარაღებული იუნკრები და სხვა კონტრრევოლუციონერები.

სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში ფართოდ გაიშალა მ. ვ. ფრუნზეს მძლავრი სამხედრო ტალანტი. 1918 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამხ. ფრუნზე პასუხსაგებ სამხედრო პოსტებზე მუშაობს.

○

1918 წლის დეკემბრის დამლევს ფრუნზე დაინიშნა ურალის ოლქში შომჭმედი მე-4 წითელი არმიის სარდლად.

იმ დროს აღმოსავლეთის—კოლჩაკის ფრონტზე განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა იყო. ანტანტის იმპერიალისტთა გეგმის თანახმად, აქედან თეთრგვარდიელებს მთავარი, სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩაეცათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 1918 წლის დეკემბერში კოლჩაკმა, რომელიც ცდილობდა შეერთებოდა ინგლისის ინტერვენტებს, რომელთაც დესანტი გადმოსხეს არხანგელსკში, დაამარცხა მე-3 წითელი არმია და დაიკავა პერმი. პარტიამ ამხანაგ სტალინს დაავალა გამოერკვია პერმის კატასტროფის მიზეზები. ამხანაგმა სტალინმა არა თუ შეასრულა ეს ამოცანა, არამედ აგრეთვე მთელი რიგი გაბედული რევოლუციური ღონისძიებებით 1919 წლის იანვრის განმავლობაში მიაღწია მდგომარეობის გაჯანსაღებას და განმტკიცებას მთელს აღმოსავლეთ ფრონტზე. სტალინის ღონისძიებათა მიხედვით მოქმედებდა მე-4 არმიის ახალი სარდალი ამხ. ფრუნზეც აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ფრთაზე. 1919 წლის მარტში, როცა კოლჩაკის არმიები ახალ შეტევაზე გადმოვიდნენ და აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა კატასტროფას გვიქადდა, პარტიამ ამხ. ფრუნზეს დაავალა კოლჩაკის განადგურების ორგანიზაცია.

ამ საშიშ დღეებში აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთი ფრთის არმიებს (მე-4, 1-ლ და თურქისტანის არმიებს) საკმაოდ მტკიცე მდგომარეობა ჰქონდათ. გაითვალისწინა რა ეს, პროლეტარულმა სარდალმა მ. ვ. ფრუნზემ წამოაყენა გაბედული გეგმა — თეთრების შეტევაზე გადმოსული მთავარი ძალებისათვის უმთავრესად დაერტყათ ფლანგზე და ზურგში. ამხ. ფრუნზეს ეს ბრწყინვალე გეგმა არღვევდა მოღალატურ ზრახვებს იუდა ტროცკისა და მისი დამჭაშებისას, რომელნიც წინადადებას იძლეოდნენ უკან დაგვეხია და კოლჩაკისათვის დაგვეთმო ვოლგა.

10 აპრილს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი მითითების საფუძველზე მიღებულ იქნა დირექტივა აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთი ჯგუფის შექმნის შესახებ ოთხი არმიის — მე-4, თურქისტანის 1-ლი და მე-5 არმიების შემადგენლობით. ამ არმიების სარდლობა პარტიამ დაავალა თავის ერთგულ შვილებს — მ. ვ. ფრუნზეს და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ვ. ვ. კუიბიშევს.

მ. ვ. ფრუნზე დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი შესანიშნავი კონტრდარტყმის მომზადებას და განხორციელებას. კონტრდარტყმისა, რომელიც სამოქალაქო ომის ოპერატიული ხელოვნების საგანძურში შევიდა როგორც ბრწყინვალე მანევრის ნიმუში. მან შექმნა დამკვრელი ჯგუფი, მოხსნა ფრონტის სამხრეთ ფრთიდან, ურალისა და ორენბურგის მიმართულებიდან ყველაზე ბრძოლისუნარიანი, მტკიცე ნაწილები და თავი მოუყარა მათ ბუზულუკის რაიონში.

ტროცკი და მისი დამჭაშები, უადვილებდნენ რა კოლჩაკს მოსკოვი-

საკენ სვლას, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ამხ. ფრუნზეს განეხორციელებინა თავისი გაბედული მანევრი. მაგრამ ამხ. ფრუნზე მტკიცედ ახორციელებს თავის გეგმას. 28 აპრილს იწყება სამხრეთის ჯგუფის კონტრშეტევა და პირველსავე დღეებში ინიციატივა წითელი არმიის ხელში გადადის.

22 დღის განმავლობაში სწარმოებს სამოქალაქო ომის ერთერთი უდიდესი ბრძოლა, შედეგად თეთრი არმიები უკუგდებულ იქნენ 220 კილომეტრით. კოლჩაკის მთელი პირვანდელი წარმატება ლიკვიდირებულ იქნა. მისი ფრონტი გაირღვა და აღმოსავლეთისაკენ დაჰქანდა. ოპერაცია დამთავრდა კაპელის თეთრი კორპუსის დამარცხებით ბელებეისთან.

მოღალატე ტროცკისტებმა ისევ სცადეს შეეჩერებინათ წითელი არმიის შეტევა იმ საბაბით, რომ საჭიროა აღმოსავლეთის ფრონტიდან ჯარის გადაყვანა სამხრეთის ფრონტზე, სადაც ამ დროს შეტევაზე გადმოვიდა დენიკინი.

მაგრამ აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის შეწყვეტას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ კოლჩაკი ძალებს მოიკრებდა და კვლავ დაიწყებდა შემოტევას და, შესაძლებელია, სწორედ იმ მძიმე მომენტში, როცა დენიკინი სისხლიან ხელს უპატენებდა საბჭოთა რესპუბლიკის გულს — მოსკოვს.

ეი სწორედ ამიტომ ამხ. ფრუნზე დაჟინებით ცდილობს დაუყოვნებლივ განახორციელოს მეორე უდიდესი ოპერაცია — უფის ოპერაცია, რაც დაკავშირებული იყო წყლის სერიოზული დაბრკოლების—მდინარე ბელაიას გადალახვასთან.

წითელმა ნაწილებმა ივნისის დამდეგს კოლჩაკელებისათვის მოულოდნელად გადალახეს მდინარე ბელაია ისე, რომ არ ჰქონიათ გადასვლის სპეციალური საშუალებანი. წითელ არმიელები 200 მეტრი სიგანის აღიდებულ მდინარეში გადიდნენ ტივებით, კასრებით, შემთხვევით ნაპოვნი ნავებით. 9 ივნისს ჩაპაევის დივიზიამ დაიკავა უფა და ურალის ქედს იქით გადარეკა თეთრები. უფისათვის ბრძოლის საშიშ მომენტში მ. ვ. ფრუნზე ბრძოლის ველზე იყო. იგი შიშნახით ხელში მიუძღოდა კონტრაერიშზე გადასულ ივანოვო - ვოზნესენსკის ფეიქართა მე-220 პოლკს. ამ საგმირო საქმისათვის მ. ვ. ფრუნზე დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის პირველი ორდენით.

უფის ოპერაციის პერიოდში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ტროცკი ჩამოაშორა აღმოსავლეთის ფრონტის საქმეების ხელმძღვანელობას.

ამხ. ფრუნზეს მიერ მოწყობილი და განხორციელებული კონტრდარტყმის შედეგად თეთრებმა 25 ათასზე მეტი კაცი დაჰკარგეს. წითელი არმიის წარმატებებით გამხნევებული მუშები და გლეხები აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ კოლჩაკის ზურგში. ასე დაიწყო აღმოსავლეთის კონტრრევოლუციის სრული განადგურება.

○

1919 წლის აგვისტოში, როცა კოლჩაკი ძირითადად უკვე განადგურებული იყო, იწყება ამხ. ფრუნზეს, როგორც სარდლის, მოღვაწეობის მეორე დიდი ეტაპი. პარტიამ იგი დააყენა თურქისტანის ფრონტის სათავეში.

თუ აღმოსავლეთის ფრონტზე ამხ. ფრუნზეს საქმე ჰქონდა მოწინააღმდეგის რეგულარულ ჯართან და ტოტად თუ ბევრად მტკიცე ფრონტთან, სრულიად სხვა ვითარება იყო თურქისტანში. აქ ომს აწარმოებდნენ ნახევრად პარტიზანული ძალები, ფრონტი ყველგან იყო. ამ რთულ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სარდლის სამხედრო მოღვაწეობის შეხამებას უდიდეს და მარჯვე პოლიტიკურ მუშაობასთან. ამხ. ფრუნზემ ბრწყინვალედ განახორციელა ეს ამოცანა და აქაც უდიდეს საომარ გამარჯვებებს მიაღწია.

1920 წლის 22 თებერვალს წითელი არმიის ეშელონები, რომლებსაც მ. ვ. ფრუნზე ხელმძღვანელობდა, შეიჭრნენ ტაშკენტში. დაიწყო მედგარი ხანგრძლივი ბრძოლა თურქისტანში ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელთა ბანდების ლიკვიდაციისათვის.

მ. ვ. ფრუნზეს პირველი ამოცანა იყო თეთრგვარდიელთა სემირეჩიეს ფრონტის განადგურება. თეთრგვარდიელებს მეთაურობდნენ ისეთი პირწავარდნილი ბანდიტები და ჯალათები, როგორიც იყვნენ ანენკოვი, დუტოვი და სხვები. ამ ბანდებმა არიგ-დარიეს სემირეჩიეს ვრცელი ოლქის სამეურნეო ცხოვრება, სისხლიანი ტერორის ქვეშ ჰყავდათ მისი მშვიდობიანი მშრომელი მოსახლეობა, სძარცვავდნენ და ძალმომრეობას ეწეოდნენ მშრომელთა მიმართ.

1920 წლის გაზაფხულის განმავლობაში სემირეჩიეში განადგურებულ იქნენ თეთრგვარდიელთა ყველაზე დიდი ბანდები.

უადრესად ძნელ ამოცანას წარმოადგენდა თურქისტანის მშრომელთა უბროლესი ტესი მტრის — ბასმაჩობის წინააღმდეგ ბრძოლა. უცხოელმა ინტერვენტებმა და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის იმპერიალისტებმა გადასწყვიტეს თავიანთი მტაცებლური პოლიტიკის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ბასმაჩთა ბანდები, რისთვისაც უხვად იწყეს ბასმაჩების შეიარაღება და მომარაგება.

1920 წელს ბასმაჩები ბანდებად გაერთიანდნენ, რომლებსაც მეთაურობდნენ ეგრეთწოდებული „ყურბაშები“ (მადამინ-ბეგის, კურსრამატის და სხვ. ბანდები). მ. ვ. ფრუნზეს მთავარ ტაქტიკას ბასმაჩებთან ბრძოლაში წარმოადგენდა მოსახლეობაში და, პირველ ყოვლისა, მშრომელ დეხკანებს შორის ფართო პოლიტიკური მუშაობის ჩატარება. პოლიტიკური მუშაობა სწარმოებდა ბასმაჩთა რაზმებშიაც. ეს მუშაობა დიდ ეფექტს იძლეოდა: იგი არა თუ ასუსტებდა ბასმაჩთა ძალებს, არამედ იყო კიდევაც შემთხვევები, როდესაც ბასმაჩთა რაზმები წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდნენ.

პოლიტიკური მუშაობისა და შეიარაღებული ბრძოლის ღონისძიებათა მარჯვე შეხამების მეოხებით მ. ვ. ფრუნზემ შესძლო უკვე 1920 წელს მიეღწია ბასმაჩობის ძირითადი კერების ლიკვიდაციისათვის.

უკანასკნელი დიდი ოპერაცია, რომელიც მ. ვ. ფრუნზეს პირადი ხელმძღვანელობით ჩატარდა თურქისტანში, იყო ბუხარის ემირის კონტრრევოლუციური ჯარის—შუა აზიაში ინგლისის ინტერვენციის უკანასკნელი დასაყრდენის განადგურება.

○

1920 წლის 21 სექტემბერს პარტიამ მ. ვ. ფრუნზე გაგზავნა სამოქალაქო ომის ახალ პასუხსაგებ უბანზე, სამხრეთის ფრონტზე, ვრანგელის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთმა ის-ის იყო წარმატებით მოახდინა უდიდესი საფრთხის — თეთრპანების პოლონეთის ლაშქრობის ლიკვიდაცია. მაგრამ კიდევ დარჩა მეტად სერიოზული მტერი--ბარონი ვრანგელი, რომელიც დონბასსა და უკრაინას ემუქრებოდა. საჭირო იყო, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, ჩქარა მოგველო ბოლო ანტანტის ამ უკანასკნელი აგენტისათვის, რათა მშვიდობიანი შრომა უზრუნველგვეყო განაწამები და გაპარტახებული ქვეყნისათვის.

ლენინი და სტალინი ამ ამოცანის შესრულებას მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს ავალებენ. იგი ინიშნება სამხრეთის ფრონტის სარდლად.

მ. ვ. ფრუნზემ შეიმუშავა ვრანგელის განადგურების ბრწყინვალე გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაუდო ამხანაგ სტალინის მიერ 1920 წლის ზაფხულში წამოყენებული გეგმის იდეა.

ვრანგელის განადგურება იყოფა ორ ოპერაციად: პირველ ოპერაციას სამოქალაქო ომის ისტორიაში ეწოდა „ბრძოლა ჩრდილოეთ ტავრიაში“; მეორე ოპერაციას ყველა იცნობს—ეს არის ისტორიული ბრძოლა პერეკოპთან და ყირიმის აღება.

ჩრდილოეთ ტავრიაში ბრძოლის დროს მთავარი როლი წილად ხვდა პირველ ცხენოსან არმიას, რომელსაც ამხანაგი ვოროშილოვი და ბუდიონი სარდლობდნენ.

შეტევისათვის გამოსავალ პუნქტად გამოიყენა რა კახოვკის პლაცდარმი, რომელიც ამხანაგი სტალინის გენიამ შეჰქმნა, პირველმა ცხენოსანმა არმიამ იერიში მიიტანა ვრანგელის კომუნიკაციებზე. ვრანგელის ჯარი თავდაცვაზე გაიქცა ყირიმისაკენ, პერეკოპის სიმაგრეებს გადაღმა.

პერეკოპი მიუვალად ითვლებოდა. თეთრებს პერეკოპთან ჰქონდათ არტილერიის საგრძნობი უპირატესობა, რამდენიმე წინასწარ მომზადებული პოზიცია ტყვიამფრქვევთა ბეტონირებული ბუდეებითურთ. მაგრამ ფრუნზემ აქაც გამონახა გამარჯვების გზა.

პერეკოპის გამარჯვება უზრუნველყოფილ იქნა სივაშის გაბედული გადალახვით. წითელი არმიის ნაწილებმა სივაში გადალახეს და ზურგში მოექცნენ თეთრებს; ამავე დროს პერეკოპის პოზიციებზე მიტანილ იქნა იერიში ფრონტიდან. ასეთმა კომბინირებულმა დარტყმამ საშუალება არ მისცა თეთრებს დიდი ძალები მოეხსნათ პერეკოპის სიმაგრეებიდან და წითელი არმიის გაორშემომველი ჯგუფის წინააღმდეგ გამოეყვანათ. 1920 წლის 7-10 ნოემბრის მედგარ ბრძოლებში აღებული იქნა ჯერ პერეკოპის სიმაგრეები, ხოლო შემდეგ იუშუნის პოზიციებიც—თეთრების უკანასკნელი დასაყრდენი. წითელი ჯარი ყირიმში შევიდა და საბოლოოდ გაანთავისუფლა იგი თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისაგან.

საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა ამხ. ფრუნზეს განსაკუთრებული დამსახურება ვრანგელის განადგურების საქმეში. ფრუნზეს დაჯილდოებულ იქნა საპატიო რევოლუციური იარაღით და წითელი დროშის მეორე ორდენით.

ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში მოხდა ორი უდიდესი პროლეტარული სარდლის—ფრუნზესა და ვოროშილოვის შეხვედრა.

ამხანაგმა ფრუნზემ და ამხანაგმა ვოროშილოვმა ერთმანეთი პირველად 1906 წლის აპრილში გაიცნეს პარტიის IV (გაერთიანების) ყრილობაზე ქ. სტოკჰოლმში. როგორც კონსპირაცია მოითხოვდა, ისინი ერთმანეთს იცნობდნენ პარტიული სახელებით: „არსენ“ — ფრუნზე, „ვოლოდია“ — ვოროშილოვი.

დიადი რევოლუციური ბრძოლების მომავალი მონაწილენი სტოკჰოლმში დამეგობრდნენ, ერთ თვეს ერთად ცხოვრობდნენ. შემდეგ ცხოვრებამ 14 წლით დააშორა ისინი ერთმანეთს.

სამოქალაქო ომის წლებში კ. ე. ვოროშილოვს არაერთხელ ჰქონდა გაგონილი, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე და თურქისტანში წითელ ჯარებს ხელმძღვანელობს მიხეილ ფრუნზე. მას საუკეთესო აზრი შეექმნა ფრუნზეს შესახებ. კ. ე. ვოროშილოვი მას იცნობდა, როგორც პარტიის დიდ მოღვაწეს, როგორც ბოლშევიკ სარდალს; მაგრამ მან არ იცოდა, რომ სწორედ ეს არის ის არსენი, რომელსაც იგი სტოკჰოლმში დაუმეგობრდა.

პროლეტარული რევოლუციის ორი გამოჩენილი სარდლის შეხვედრა მოხდა ჩრდილოეთ ტავრიის მინდვრებში. ისინი ახლო მეგობრები გახდნენ.

○

დამთავრდა სამოქალაქო ომი, და მ. ვ. ფრუნზე მთელი აოსებით ჩაება გაცხოველებულ მუშაობაში წითელი არმიის რეორგანიზაციისა და მშენებლობისათვის. ჯერ უკრაინისა და ყირიმის ჯარების სარდალი, შემდეგ სახალხო კომისრის მოადგილე და, ბოლოს, სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი — ფრუნზე დაუზოგავად ებრძვის საზაზღარ ბანდიტს ტროცკისა და მის დამჭაშებს. ფრუნზესა და კ. ე. ვოროშილოვის ხელმძღვანელობით გატარდა 1924 წელს ეგრეთწოდებული „სამხედრო რეფორმა“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა რეკონსტრუქციის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებას.

მიხეილ ვასილის-ძე დიდ მუშაობას აჩაღებს სამხედრო-სამეცნიერო ფრონტზე; იგი დაუღალავად ზრუნავს წითელი არმიის მეთაურთა კადრების შექმნაზე, პირადად კისრულობს სამხედრო აკადემიის ხელმძღვანელობას, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს.

1925 წლის 31 ოქტომბერს მ. ვ. ფრუნზე გარდაიცვალა. მან ვერ გადაიტანა მძიმე ოპერაცია. ფრუნზეს დაკრძალვაზე სახ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი, ამხანაგი სტალინი, რომელმაც სთქვა: „ამხანაგ ფრუნზეს სახით ჩვენ დავჰკარგეთ ჩვენი დროის ერთერთი ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე პატიოსანი და ყველაზე უშიშარი რევოლუციონერი“.

საბჭოთა კავშირის ხალხები მადლობით და სიყვარულით იხსენიებენ ახალი ტიპის სამხედრო ხელმძღვანელს, მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს, რომლის ხელმძღვანელობითაც გმირულმა წითელმა არმიამ ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

პოლკოვნიკი ე. ბოლტინი

ფართოდ გავშალოთ პრესის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობისათვის უფლებისათვის

საქართველოში მიმდინარეობს პრესის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

იქ, სადაც ამ შეჯიბრებას ნამდვილ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას უწევენ, მრავლდება შეჯიბრებაში ჩაბმულ პრესის მუშაკთა რიცხვი.

საოლქო, რაიონული გაზეთები, საკოლმეურნეო კედლის გაზეთები, სოფლკორები, კორესპონდენტები იბრძვიან ამ საპატიო უფლების მოპოვებისათვის. სოციშეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება.

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ მასალებს, რომლებიც მოწმობენ რაიონულ გაზეთებს შორის გაჩაღებულ სოციშეჯიბრებას და იმ დახმარებას, რომელსაც ისინი უწევენ ძირეულ პრესას გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

იბრძვიან გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად

(გორის, ტელეფონით „კომუნისტის“ კორესპ.)

გორის რაიონულმა გაზეთმა „სტალინელმა“ 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის მზადება დროულად დაიწყო.

რაიონულმა გაზეთმა გამოფენაში მონაწილეობა რომ მიიღოს, საჭიროა მოაწყოს და გააშუქოს კედლის გაზეთების სოციშეჯიბრების მიმდინარეობა, მოათავსოს ამ გაზეთების მიმოხილვა და სხვ.

გასულ წელს „სტალინელმა“ გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის დახმარებით საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორთა და სოფლკორთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩააბა 24 რედაქტორი და სოფლკორი. რედაქციის 4 მუშაკი მიმაგრებულია სოფ. ხელთუბნის, ბერბუკის ჯარეჯრის და ახალიხის კოლმეურნეობებთან არსებულ კედლის გაზეთებზე და ეხმარება რედკოლეგიებს მუშაობაში.

„სტალინელის“ რედაქცია ხშირად უკეთებს მიმოხილვებს ძირეულ პრესას. მაგალითად, კედლის გაზეთი „ტრაქტორი“ (გორის მტს-ი) სუსტად აშუქებდა გამოფენისათვის მზადების საკითხებს. რედაქციამ ამ გაზეთის მიმოხილვა გაუკეთა, მისცა კონკრეტული მითითებები, დაეხმარა, რის შემდეგაც გაზეთის მუშაობა გაუმჯობესდა და შემდგომ გამოფენისათვის მზადების საკითხებიც კარგად გააშუქა.

1939 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა ადგილებზე დაბრუნების შემდეგ მოეწყო გამოფენის მონაწილეთა მოხსენებები სოფ. ბერბუკის, ზემო-სკრის, ხელთუბნის და სხვა კოლმეურნეობებში. გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება გაზეთმა თავის ფურცლებზე უჭირავენა, რითაც დაეხმარა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საქმეში.

გასული წლის ოქტომბერში „სტალინელის“ რედაქციამ მიიღო მომძე უკრაინის სსრ ფასტოვის რაიონის მუშსოფლკორების გამოწვევა. ისინი წინადადებას იძლეოდენ ძირეული პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად, სოფლკორთა ახალი კადრების აღსაზრდელად და გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების დასანერგავად ფასტოვისა და გორის რაიონების მუშსოფლკორებს შორის მოწყობილიყო სოციშეჯიბრება. ამ წერილის მიღებისთანავე რედაქციამ გასული წლის 15 ოქტომბერს მოიწვია მუშსოფლკორთა რაიონული შეკრება, რომელზეც ერთსულოვნად მოიწონეს და მიიღეს ფასტოველების გამოწვევა.

ამჟამად სოციშეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება.

ამ დღეებში გორის რაიონული გაზეთის რედაქციამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქარელის რაიონული გაზეთი. მან იკისრა უფრო მჭიდროდ დარაზმოს თავის გარშემო მუშსოფლკორები, უკეთესად გააჩაღოს სოციშეჯიბრება საკოლმეურნეო კედლის გაზეთებს შორის და ფართოდ გააშუქოს გაზეთში 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საკითხები. გაზეთი „სტალინელი“ იბრძვის 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ბეჭდვითი სიტყვის პავილიონში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

ს. ყურაშვილი
დ. რთველიაშვილი

სოციშეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება

(ლაგოდეხი, ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ძირეული პრესისა და სოფლკორთა მონაწილეობის საკითხზე „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენლის თანადასწრებით 30 იანვარს ჩატარდა ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „ბრძოლა თამბაქოსათვის“ მუშაკთა სარედაქციო თათბირი. გაზ. „ბრძოლა თამბაქოსათვის“ უკვე ჩაება სოციშეჯიბრებაში და იკისრა ვალდებულება შემდეგშიაც ფართოდ გააშუქოს გამოფენის საკითხები, უჩვენოს გამოფენის მონაწილეთა მიღწევები და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათი გამოცდილების გავრცელებას.

რაიგაზეთის მუშაკებმა იკისრეს 10 თებერვლამდე გამოავლინონ ის კედლის გაზეთები და სოფლკორები, რომლებიც წარდგენილი იქნებიან საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე, და პრაქტიკულად დაეხმარონ მათ საჭირო დოკუმენტების დროულად გაფორმებაში, ყოველ ნომერში მისცენ 2-3 კედლის გაზეთის მიმოხილვა, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საკუთარი ძალებით 20 საკოლმეურნეო კედლის გაზეთს, რომ ისინიც ჩაებან სოციშეჯიბრებაში და შესძლონ ყოველ ექვს დღეში გამოსვლა.

15 თებერვლამდე 10 კოლმეურნეობაში ჩატარდება სარედაქციო კოლეგიების წევრთა და სოფლკორთა თათბირები გამოფენაში მათი მონაწილეობის საკითხის განსახილველად. ამ საკითხზე ჩატარდება სოფლკორთა აქტივის ზონალური თათბირები სოფ. აფენში და სოფ. ვარდისუბანში. პარიზის კომუნისა და გორკის სახელობის კოლმეურნეობებში ეწყობა კედლის გაზეთების დათვალიერება-გამოფენა.

რედაქციამ იკისრა ვალდებულება ოპერატიულად გააშუქოს შეკვხვრეთა შორის რაიგაზეთის ინიციატივით მოწყობილი სოციშეჯიბრების მიმდინარეობა.

ლაგოდეხის რაიგაზეთი შეუდგა ნაკისრ ვალდებულებათა პრაქტიკულად შესრულებას. 30-31 იანვარს ჩატარდა სარედაქციო კოლეგიის წევრთა და სოფლკორთა თათბირები სოფელ კალინოვკის, ვაშლოვანის და შრომის კოლმეურნეობებში.

კალინოვკის კოლმეურნეობის კედლის გაზეთმა გამოფენის და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხების სანიმუშოდ გაშუქებისათვის სოციშეჯიბრებაში გამოიწვია ბუდეონის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი, ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის გაზეთმა გამოიწვია შრომის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი, ვაშლოვანის კოლმეურნეობა „ლენინის ალეროძის“ კედლის გაზეთი სოციშეჯიბრებაში ჩაება სოფელ (ყოფილ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გაზეთთან. კალინოვკის კოლმეურნეობის კედლის გაზეთმა სოციშეჯიბრებაში ჩაბმის მეორე დღეს—31 იანვარს მოაწყო სოფლკორთა რიგი თესვისათვის მზადყოფნის, ნათესების დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობის შესამოწმებლად.

ლაგოდეხის რაიგაზეთმა სოციშეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის რაიგაზეთი „მეგენახეთან“, რომელმაც გამოწვევა მიიღო.

ტ. აცანელი

სოფლკორთა თათბირი

ლუქსემბურგი, (ტელეფონით სპეც. კორ.). ლუქსემბურგში შესდგა სოფლის კორესპონდენტთა, კედლის გაზეთის რედაქტორთა და მკითხველთა რაიონული შეკრება.

შეკრებამ მოისმინა რაიმიწგანის გამგის ამხ. შირაკიანის მოხსენება კოლმეურნეობებში 1939 წლის მოსავლის განაწილებისა და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ და რაიპროკურორის თანაშემწის ამხ. გუსეინოვის მოხსენება მშრომელთა წერილების შემოწმების შედეგების შესახებ. შეკრება დიდი აქტივობით ჩატარდა.

შეკრებაზე რაიონულმა გაზეთმა „წითელმა დროშამ“—„ალბაირაღმა“ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხების უკეთ გაშუქებისათვის სოციშეჯიბრებაში გამოიწვია ახალციხის რაიონული გაზეთი.

ლ. ტურაშვილი

თათბირი გამოუვნის საკითხებზე

30 იანვარს შესდგა თელავის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქციის მუშაკთა გაფართოებული თათბირი „კომუნისტის“ წარმომადგენლის მონაწილეობით. ამ თათბირზე შეჯამებულ იქნა რაიგაზეთის მიერ დღემდე ჩატარებული მუშაობა გამოფენისათვის მზადების საკითხებზე.

გამოირკვა, რომ რაიონულმა გაზეთმა და ძირეულმა პრესამ საგრძნობი მუშაობა გასწიეს 1940 წლის გამოფენისათვის კანდიდატების შერჩევისა და გამოვლინების საქმეში.

ძირეული პრესის მუშაკთა და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირებზე განხილულია გამოფენისათვის მზადების საკითხები. ამან ერთიორად გააუმჯობესა ძირეული პრესის მუშაობა.

თელავის რაიონული გაზეთი სოციშეჯიბრებაში ჩაება გურჯაანის რაიონულ გაზეთ „მეგენახესთან“. გაზ. „კოლმეურნის ხმის“ რედაქციის მუშაკებმა იკისრეს კიდევ უფრო ფართოდ გააშუქონ გამოფენისათვის მზადების საკითხები, დაეხმარონ კოლმეურნეობებს გამოფენის კანდიდატთა გამოვლინების საქმეში და აქტიური დახმარება გაუწიონ ძირეულ პრესას სოციშეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლაში.

კ. ჩხიკვაძე
გაზ. „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორი.

შეფობა ლვოვის უნივერსიტეტზე

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აიღო შეფობა ლვოვის უნივერსიტეტზე. ამ შეფობის მიზანია ლვოვის უნივერსიტეტისათვის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის—ჩვენი ქვეყნის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის მდიდარი გამოცდილების გადაცემა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ბუტიაგინმა უამბო თქვენს კორესპონდენტს, როგორ სწარმოებს პრაქტიკულად ამ მეგობრული დახმარების განხორციელება. ლვოვის უნივერ

პარტიული ცხოვრება

ლექციის განხილვა რაიკომის ბიუროზე

(ფულუკაძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლექციის შინაარს ამ დღეს პირველად იხილავდნენ რაიკომის ბიუროზე. ამიტომაც საკითხის ამ თვალსაზრისით განხილვამ არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ალ. კუპრაშვილი, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. კ. ბარათელია, რაიკომის მუშაკები და ლექტორთა ჯგუფის წევრები დაესწრნენ რაიკომის შტატის პროპაგანდისტის ამხ. მ. კოპალიანის ლექციას. ამხ. მ. კოპალიანი ლექციას კითხულობდა თემაზე: „ლენინისა და სტალინის ბრძოლა საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ“.

ბიუროსათვის საკითხის მომზადება, წაკითხული ლექციის ყოველმხრივ განხილვა დაევალათ რაიკომის მდივანს ამხ. ალ. კუპრაშვილს, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ამხ. კ. ბარათელიას და რაიკომის მუშაკებს ამხ. აკ. რუხაძეს და ი. ბახტაძეს. ამხანაგები გულდასმით უსმენდნენ ლექტორს, იწერდნენ საგულისხმო შენიშვნებს.

ამის შემდეგ საკითხი რაიკომის ბიუროზე განიხილეს. გაიმართა მეტად საქმიანი მსჯელობა, ცოცხალი კამათი. ბიუროზე სერიოზულად და მოფიქრებულად იხილავდნენ თეორიის საკითხებს.

რაიკომის ბიუროზე ამხანაგები, თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ რა ახალგაზრდა ლექტორის ამხ. მ. კოპალიანის ლექციის დადებით მხარეებს, ამასთან ყურადღებას ამახვილებდნენ და მიუთითებდნენ იმ ნაკლოვანებებსა და შეუსაბამობაზე, რომლებიც ახასიათებდა წაკითხულ ლექციას.

ამხ. მ. კოპალიანმა წაიკითხა დაწერილი ლექცია, მას არ ჰქონდა ლექციის გეგმა. ამიტომ ლექციიდან გასარჩევი საკითხები თანმიმდევრობით არ იყო დალაგებული. ლექტორმა ძალიან დიდი დრო მოანდომა ლექციის შესავალ ნაწილს, რის გამო საკვანძო საკითხები ვერ ამოწურა.

არ ჰქონდა რა ლექცია სერიოზულად მომზადებული, ლექტორი უშვებდა არაზუსტ გამოთქმებს, ერიდებოდა ცალკეულ დებულებათა განზოგადებას. ყოველივე ამის შედეგად ლექცია მოსაწყენი გამოდგა. არც ერთი შეკითხვა — ასეთი იყო ლექციის ფინალი.

რატომ მოუვიდა ეს ამხ. მ. კოპალიანს? ის ზედმეტად არის დაწრმუნებული თავისთავში, აგრეთვე იმიტომ, რომ მას დღემდე ნაკლებად უყენებდნენ მოთხოვნებს. კოპალიანი ისე გამოვიდა აუდიტორიის წინაშე, რომ მისი ლექცია შემოწმებული არ ჰქონდა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მიერ ლექციის შინაარსის განხილვა დიდად დაეხმარება ლექტორებს მათ საპატიო მუშაობაში, გაზრდის ლექტორთა პასუხისმგებლობას და წინ წასწევს პარტიული პროპაგანდის საქმეს. ამაზე მიუთითებს თვით ლექტორ კოპალიანის გულწრფელი განცხადება რაიკომის ბიუროზე: არ ვიცოდი, თუ შემამოწმებდნენ, თორემ ლექციას უკეთესად მოვამზადებდიო.

ბოლოს რაიკომის ბიურომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი რაიონში ლექციების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბ. ჩიქოვანი

რაჭიდან არ იზრდებიან სოფლის პარტორგანიზაციები?

(ზოარი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გორის რაიონის ზოგიერთმა საკოლმეურნეო პირველადმა პარტორგანიზაციამ სოფლის მოწინავე ადამიანების პარტიაში მიღების საქმე დაივიწყა. პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად 1938 წლის შემდეგ პარტკანდიდატად არცერთი კაცი არ მიუღიათ სოფ. დიდი-ობერას, ზემო-სკრის, ქვემო-სკრის და სხვა კოლმეურნეობებთან არსებულ პირველადს პარტორგანიზაციებს. აღნიშნული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები ე. ნონიკაშვილი, დ. ოქროშიაშვილი და რ. მშვილდობაძე არ ანხორციელებენ XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებს პარტიაში მოწინავე ადამიანების მიღების შესახებ. პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის აგრეთვე პარტრაიკომის ამ ზონის ინსტრუქტორი ამხ. მექვაბიძე, რომელიც ამ მდგომარეობას გულდამშვიდებული შესცქერის.

სოფ. შინდისის და მეჯვრისხევის ზონის მთელი რიგი საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიაში მიღებას.

თუ რა სუსტად მუშაობენ სოფლის პარტორგანიზაციები, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: გორის რაიონში 200-ზე მეტი ისეთი კომკავშირელია, რომლებიც კომკავშირში იმყოფებიან 1928-1932 წლიდან, მაგრამ მათზე არავინ ზრუნავს. სოფლის მოწინავე კომკავშირელთა ხარჯზე პარტიის რიგების ზრდას დაუდევრად ეკიდებიან სოფ. ზემო-სკრისა და ქვემოს პირველადი პარტორგანიზაციები.

სოფლის პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას და დახმარებას სუსტად ანხორციელებენ რაიკომის პასუხისმგებელი ინსტრუქტორები გ. სებნიაშვილი და შ. კვირიკაშვილი.

ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციაში ჯერ კიდევ არიან ეგრეთწოდებული „მარადი“ პარტკანდიდატები. სარეწაო არტელების პირველადს პარტორგანიზაციაში ირიცხება ა. მეჩითოვი, რომელიც 1932 წლიდან პარტიის წევრობის კანდიდატია. სოფ. ქახვრელში და მარანში ვ. ალექსენკო და ვ. სადალაშვილი 1932 წლიდან არიან პარტკანდიდატებად.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, მთელი რიგი პარტორგანიზაციების კარგი მუშაობის შედეგად გორის რაიონის პარტორგანიზაციებს გასული წლის განმავლობაში შეემატა 377 პარტკანდიდატი. ხოლო კანდიდატობიდან წევრად გადარიცხულ იქნა 194 ამხანაგი.

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე რაიკომმა შეჰქმნა 11 ახალი პარტორგანიზაცია, აქედან ახალი პარტორგანიზაციები შეიქმნა ორ კოლმეურნეობაში, მაგრამ სოფლის პარტორგანიზაციები მაინც სუსტად იზრდებიან.

დროა, საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა დასახოს სათანადო ღონისძიებანი, სოფლის პარტორგანიზაციების ზრდის უზრუნველსაყოფად.

ს. ჟურაშვილი

პარჭიაში მივიწყოთ მოწინავე ადამიანები

(ცხაკაია, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების განახლების დღიდან პარტიის XVIII ყრილობამდე ცხაკაიას რაიონის პარტორგანიზაციებში მიღებულია 674 კაცი, აქედან საქ. კ. პ. (ბ) წევრად გადარიცხულია 119 ამხანაგი. XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე მიღებულია 519 ამხანაგი, აქედან საქ. კ. პ. (ბ) წევრი—221, წევრობის კანდიდატი—298.

პარტიაში ახალმიღებულთა შორის არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გოგოშა შარტავა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალენტინა შეროზია, ძველი—სინაკის შეღორეობის საბჭოთა მეურნეობის ცნობილი მეღორე ბრიგადირი ორდენოსანი ამხ. გრ. ჩემია, მედალით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებული მასწავლებელი მარო ჯორბენაძე.

საქ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდასთან ერთად გაიზარდა პირველადი ორგანიზაციების რიცხვი. საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ ჩამოყალიბდა 13 ახალი პირველადი პარტორგანიზაცია და 7 საკანდიდატო ჯგუფი.

სოფელ ეკის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ (მდივანი—ამხ. ვლ. ცხვიტავა) პარტიაში მიღების განახლების დღიდან დღემდე პარტიის რიგებში მიიღო 23 პარტწევრობის კანდიდატი, 6 ამხანაგი კი წევრად გადარიცხა. პარტკანდიდატს ამხ. ოლღა ცხვიტავას პარტორგანიზაციამ ჩაის მკრეფავთა რგოლის ხელმძღვანელობა დააკისრა. სტახანოვური მუშაობის შედეგად მისმა რგოლმა გასულ წელს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 272 პროცენტით შეასრულა და საშუალოდ ჰექტარზე 2.795 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო.

ამხ. ოლ. ცხვიტავა, როგორც საუკეთესო სტახანოველი კოლმეურნე, ეკის მშრომელებმა ერთსულოვნად აირჩიეს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონული საბჭოს დეპუტატად.

სადგურ ცხაკაიის პარტორგანიზაციამ (მდივანი — ამხ. შ. ალანია) XVIII პარტყრილობის შემდეგ 49 კაცი მიიღო, სულ მიღების განახლებიდან კი 77 კაცი. აქედან წევრად გადარიცხა 28 ამხანაგი. ახალმიღებულთა შორის ენერგიული მუშაობის შედეგად მრავალმა ახალმიღებულმა ამხანაგმა თავი გამოიჩინა და დაწინაურდა უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე. უმცროსი მემუხრუჭეები ბ. ხორავა და ა. ჩომახია უფროს მემუხრუჭეებად დაწინაურდნენ. მზეთავი ვ. კუჭავა ახლა უფროსი ზეინკალია. ასევე დაწინაურდნენ ახალმიღებული კომუნისტები ა. პარკაია და კ. გოგოლი.

ახალსოფლის პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი — ამხ. ერ. კუპრეიშვილი) პარტიის რიგებში ითვლის 17 ახალგაზრდა კომუნისტს. კოლმეურნეობის ფერმის გამგე ამხ. ნიკ. ჯოჯუა პარტწევრობის კანდიდატია. პარტიის რიგებში შესვლის შემდეგ მან ფერმის მუშაობა არსებითად გარდაჰქმნა. ამხ. ნ. ჯოჯუა ფერმაში მოპოებული წარმატებებით 1939 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ღირსეული მონაწილე იყო. მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა კოლმეურნეობა მეცხოველეობის განვითარების საქმეში მოპოებული მაღალი მაჩვენებლებისათვის დააჯილდოვა მეორე ხარისხის სიგელით, მოტოციკლეთა და 5.000 მანეთით.

წარმატებებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს დეფექტებიც, რომლებიც პარტიის რაიონული კომიტეტისა და პირველადი პარტორგანიზაციების უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

სოფ. გეჯეთის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ (მდივანი — ლ. ჯოჯუა) ხელი აიღო მისაღებთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე და პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკითხი თვითდინებას მიანდო. XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ პარტორგანიზაციამ თავის რიგებში ერთი კაციც არ მიუღია. ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ჭატომბრის“ პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი — ამხ. კ. კობაია) საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ მხოლოდ ერთი კაცი მიიღო. აღნიშნულ კოლმეურნეობებში კი მრავლად არიან სტახანოველი კოლმეურნეები, რომლებიც ღირსნი არიან პარტიის რიგებში მიღებისა.

საკირე ჭარხლის პარტორგანიზაციის გარეშემო შემოკრებილი 53 მუშიდან 18 სტახანოველია, წოლო პარტორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო მხოლოდ ერთი ამხანაგი. ასეთივე მდგომარეობაა ხორშის კულიბიშევის სახელობის და ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციებში.

პარტიის რიგების ზრდის საქმისადმი ასეთ უსულგულო დამოკიდებულებაში ბრალი მიუძღვის პარტრაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას და ამ ზონის ინსტრუქტორებს, რომლებმაც თავიდანვე სათანადო დახმარება არ გაუწიეს აღნიშნულ პარტორგანიზაციებს.

რაიონის ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციაში უხეშად ირღვევა მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი.

ქ. ცხაკაიას სარეწაო არტელების პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი — ვლ. ბაღათურია) შეუსწავლელად მიიღო ვინმე ტ. დვალი და ნ. ჩიქოვანი, რომელთა საქმეების რაიკომში გაგზავნამდე, პარტორგანიზაცია იძულებული გახდა მეორე კრებაზე ისევ უარი ეთქვა მათთვის. აგრეთვე ამ ორგანიზაციის მიერ მიღებულებს—შ. პაჭკორიას, ვ. გეგეჭავას და ა. სარაიას რაიკომის ბიურომ უარი უთხრა მიღებაზე.

საქავშირობის პარტორგანიზაციამ (მდივანი — მ. ცეკავა) სრულიად შეუმოწმებლად მიიღო სავაჭრო პოლიტიკის უხეშად დამრღვევი ბ. იოსელიანი. ყოფილი ვაჭარი დ. ქანკავა და ბნელი წარსულის მქონე ნ. ნაცვლიშვილი. საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომმა არ დაამტკიცა აღნიშნული პირველადი პარტორგანიზაციების მიერ გამოტანილი დადგენილება ზემოთ დასახელებული პირების პარტიაში მიღების შესახებ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველადს პარტორგანიზაციებში, ისე რაიკომის მხრივაც ადგილი აქვს მისაღებთა საქმეების განხილვის დაგვიანების შემთხვევებს.

არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეული წარმატებებით, გაბედულად უნდა ვზარდოთ პარტიის რიგები ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგული ადამიანებით.

ვ. კალანდარიშვილი

სრულიად-საკავშირო კონფერენცია დრეკადობის თეორიის საკითხებზე

გუშინ, 1 თებერვალს თბილისში გაიხსნა სრულიად - საკავშირო კონფერენცია დრეკადობის თეორიის საკითხებზე.

დრეკადობის თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საინჟინრო საქმეში და ტექნიკაში საერთოდ.

სხეულის დრეკადობის თვისებას უკვე შორეულ წარსულში იყენებდნენ უმარტივეს მანქანებსა და იარაღებში. თუ დრეკადმა სხეულმა შეიცვალა ფორმა გარეშე ძალების ზეგავლენით, მაშინ მასში დაგროვებულია დრეკადობის ენერგია, რომელსაც სხეული ისევ იძლევა ზეგავლენის მომხდენი ძალის მოცილების შემდეგ, და ეს ენერგია შეიძლება სათანადოდ იქნას გამოყენებული. (მაგალითი — მშვილდი).

დრეკადობის თეორია მიზნად ისახავს შეისწავლოს დეფორმაცია და ძაბვა დრეკად სხეულებში ამა თუ იმ პირობებში.

ეს თეორია წარმოიშვა იმიტომ, რომ საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ ნაგებობათა და მანქანების სიმტკიცის გაანგარიშება.

ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ჩვენს ქვეყანაში — სოციალიზმის ქვეყანაში: ჩვენ უნდა ვაშენოთ არა მარტო მტკიცედ, არამედ ეკონომიურადაც და სწრაფადაც, მხოლოდ თეორიული განაგარიშება, დამყარებული დრეკადობის თეორიის მეთოდებზე, მოგვცემს საშუალებას მიზანშეწონილად დავგეგმოთ არსებითად ახალი ობიექტები, რათა სავსებით დარწმუნებული ვიყოთ მათს სიმტკიცეში.

დრეკადობის თეორიის ფუძემდებლად სთვლიან რობერტ ჰუკს, რომელმაც 1676 წელს გამოსთქვა დრეკადობის თეორიის ძირითადი კანონი — ძალისა და მის მიერ გამოწვეულ დეფორმაციას შორის პროპორციონალობის შესახებ. მაგრამ დრეკადობის თეორია საკუთრივ გაცილებით უფრო გვიან განვითარდა.

მათემატიკური თვალსაზრისით, ის ამოცანები, რომელთაც დრეკადობის თეორია გვიყურებს, შეტად რთულია. მხოლოდ თანამედროვე, მათემატიკური ანალიზის ძლიერმა საშუალებებმა მოგვცეს შესაძლებლობა თეორიულად გადაგვეწყვიტა ყველაზე უფრო ძირითადი საკითხები. ამ ძირითად საკითხების გადაწყვეტა სულ ამ ცოტა ხნის წინათ არის მიღებული, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ახლა დრეკადობის მათემატიკური თეორია მათემატიკური ბუნებისმეტყველების ერთერთი კარგად დამუშავებული დარგია. მაგრამ საინჟინრო პრაქტიკაში დრეკადობის თეორიის შედეგების დანერგვის თვალსაზრისით საქმე არც ისე კარგად არის: წმინდა მათემატიკური ხასიათის დაბრკოლებანი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი ხელმისაწვდომია ინჟინერთა მეტად მცირე რიცხვისათვის. ხიდის გადება თეორიასა და საინჟინრო პრაქტიკას შორის — აი ის ამოცანა, რასაც თანამედროვე მოწინავე სპეციალისტები ისახავენ.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ამ მიმართულებით საბჭოთა მათემატიკოსებმა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ უმნიშვნელოვანესი სამუშაოები დრეკადობის თეორიის დარგში ამჟამად საბჭოთა კავშირში სწარმოებს. მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ქალაქების სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებში ათობით ნიჭიერი, მეტ ნაწილად ახალგაზრდა მათემატიკოსები და ინჟინრები ინტენსიურად მუშაობენ დრეკადობის თეორიის ურთულეს ამოცანებზე და ამ თეორიის პრაქტიკულად გამოყენებაზე.

მე საშუალება არა მაქვს, თუნდაც მოკლედ ავწერო ის შედეგები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მათემატიკოსებმა მიიღეს. ვიტყვი მხოლოდ თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

ჩვენმა ახალგაზრდა სპეციალისტმა დოცენტმა ლ. გ. მაღნარაძემ შესძლო გადაეწყვიტა მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ეხება კუთხოვან ზედაპირიან სხეულებს. საინჟინრო პრაქტიკასთან თეორიის დაახლოების მიმართულებით დიდი სამუშაო ჩაატარეს დოცენტებმა ა. ი. გორგიძემ და ა. კ. რუხაძემ.

ა. კ. რუხაძემ ა. ი. გორგიძის მონაწილეობით ამჟამინდა მოგვცა მეტად გონებამახვილი საერთო გადაწყვეტა ისეთი ძელის განივი ძალის ღუნვის ამოცანისა, რომელიც შედგენილია სხვადასხვა მასალისაგან. ასეთი ძელების ღუნვისა და გრეხის ამოცანა (ამ ამოცანას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რკინაბეტონის ნაგებობათა თეორიისათვის) დაყენებული იქნა ჩემ მიერ 1932 წელს და გადაწყვეტილ იქნა ჩემ მიერვე ყველა ძირითადი შემთხვევისათვის, გარდა ზემოდხსენებული შემთხვევისა. ახლა ეს საკითხი ა. კ. რუხაძემ გადასჭრა ბოლომდე.

ყოველივე ეს სტატიკური ამოცანებია. დინამიკურ ამოცანებს (დრეკადი ტალღების გავრცელება, საერთოდ დრეკადი რხევანი) დიდი წარმატებით იკვლევდნენ პროფესორი ვ. დ. კუპრაძე და პროფესორი ი. ნ. ვეკუა, რომელთაც მიიღეს მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სეისმოლოგიისათვის.

დრეკადობის თეორიის საკითხებზე მოწვეულმა კონფერენციამ, რომელიც თბილისში შესდგება, დიდი როლი უნდა შეასრულოს ახალი პრობლემების წამოყენებისა და სრულიად-საკავშირო მასშტაბით მუშაობის კოორდინაციის ხაზით.

აკად. ნ. ი. მუსხელიშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. (საქდესი).

ინდუსტრიის კადრების სამჭედლოში

ორდენოსანი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტს ერთერთი მოწინავე ადგილი უჭირავს.

ინსტიტუტი ამზადებს 11 სპეციალობის მუშაკს. ყოველწლიურად ინსტიტუტს 500-600 სტუდენტი ამთავრებს. 1939-40 სასწავლო წელს კი გამოშვებული იქნება 637 სპეციალისტი. ინსტიტუტი წარმატებით სწყვეტს მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადების პრობლემას, რომელიც მის წინაშე მესამე ხუთწლედშია დასახული.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრის დადგენილებამ სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების დაწესების შესახებ ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია ინსტიტუტის პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა ოთხიათასიან კოლექტივში. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სტალინის სახელობის სტიპენდიატის საპატიო სახელწოდების მოპოების უფლებისათვის.

პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა შორის ამ სასახელო და საპატიო საქმის პოპულარიზაციას სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია. მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა ხალხმრავალ კრებებზე ფართოდ იქნა დამუშავებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება და ამავე საკითხზე გაზ. „პრავდის“ 7 იანვრის მოწინავე წერილი.

კათედრებმა აიღეს ვალდებულება, რომ გააჩაღებენ მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებსა, მარაგნების და ქვანახშირის მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ახალ გაუმჯობესებათა, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა შეტანისა და დანერგვისათვის. კათედრები აგრეთვე ენერგიულად ემზადებიან მეორე ტექნიკური კონფერენციისათვის, რომელიც განზრახულია მოეწყოს მომდინარე წლის მარტის დამლევს. ტექნიკური კონფერენცია შეაჯამებს მეცნიერ მუშაკთა მიერ მიღწიერების ახალ მიღწევათა ასათვისებლად ჩატარებულ მუშაობას და შემდეგისთვის კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს მათ შეჰქმნან ეპოქის შესაფერისი ნაშრომები, რომლებიც გამოდიდრებენ ჩვენს ხალხს, განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვას, აამაღლებენ ჩვენს ტექნიკას.

უსაზღვროა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა სიხარული. საბჭოთა მთავრობის დადგენილება სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების შესახებ ახალ ძალას ჰმატებს მათს საშეცნიერო-კვლევითს, სავამომგონებლო, შემოქმედებითს მუშაობას. დიადი სტალინური ზრუნვა საბჭოთა ხალხის ნიჭიერი ძალების განვითარებისათვის აღფრთოვანებს თვითეულ მათგანს. აი მაგალითებიც. პროფესორმა გ. მუხაძემ ახალი ენერგიით გააჩაღა მუშაობა. მან აიღო ვალდებულება, რომ 1940 წელს გამოაქვეყნებს ერთ საყურადღებო ნაშრომს და აგრეთვე დაიცავს დისერტაციას ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატებმა, დოცენტებმა გ. ჯიმშელეიშვილმა და მ. კასიანმა ვალდებულება იკისრეს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში დაიცავენ დისერტაციას ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების მიღების უფლების მოპოვებისათვის წარმოებული ბრძოლის ერთერთ მთავარ ობიექტად აქ დასახულია შუა აზიისა და ზაჰაბაიკალის ინდუსტრიულ ინსტიტუტებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება.

სწავლების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების ნიშნით ჩატარდა საზამთრო სესიები, რომელზედაც ინსტიტუტის მთელმა კოლექტივმა საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. სესიაზე გამოცხადდა სტუდენტთა მთელი რაოდენობის 99,3 პროცენტი. საგრძნობლად გაიზარდა ფრიადოსან და კარგოსან სტუდენტთა რიცხვი. თუ გასული სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტუდენტთა მთელი რაოდენობის 25,5 პროცენტმა გამოცდები ჩააბარა ფრიადზე, მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის ეს რიცხვი გაიზარდა 32,3 პროცენტით. კარგ შედეგებს მიაღწიეს ცალკეულმა ფაკულტეტებმა. მაგალითად. ელექტრომექანიკურ ფაკულტეტზე ყველა სასესიო საგანი ჩააბარა 603 სტუდენტმა, აქედან ფრიადოსნებია 13,75 პროცენტი, ხოლო კარგოსნები—22,5 პროცენტი. სტუდენტთა შორის განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა, რის შედეგადაც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი გაცდენების რაოდენობა.

ასპირანტებმა გ. ხახუბიამ, ს. გორნოდაშვილმა და სხვ. იკისრეს კალდებულება, რომ საგნებს ჩააბარებენ ფრიადზე და კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში. სამშენებლო ფაკულტეტის III კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა გ. გურამიშვილმა განაცხადა, რომ შეინარჩუნებს ფრიადოსნობას და აგრეთვე დაეხმარება ჩამორჩენილ სტუდენტებს ფრიადოსნობის მოპოვებაში. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს სტუდენტებმა: ს. ბახტაძემ, ა. ჭანტურიამ, ალ. წოწორიამ, შ. გელბაქიანმა, ლ. ცხვიტავამ, შ. დადუნაშვილმა და სხვ.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივი თავდადებულად იბრძვის ხალხთა დიდი ბელადის, საყვარელი სტალინის სახელობის სტიპენდიების და პრემიების მოპოების საპატიო უფლებისათვის.

შ. ცაროციძე

შ. ჯიჭია

საქართველოს კურორტებმა საუკეთესოდ უნდა იმუშაონ

საქართველოს კურორტები უნდა გადაიქცნენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სრულიად-საკავშირო კერებად—ასეთი ამოცანა დაგვისახა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ. ამ მიზნით ების განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი კურორტების მუშაკებმა გასულ წელს საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს. შარშანდელ სეზონში გაუმჯობესდა კურორტებისადმი ხელმძღვანელობა. უკეთ იყო დაყენებული ავადმყოფთა სამკურნალო მომსახურება, მოვლა და კვება. გასულ წელს ჩვენს კურორტებზე იმკურნალა და დაისვენა ნახევარ მილიონამდე მშრომელმა, რომლებიც დიდი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ, გაიხსნა და ექსპლოატაციაში შევიდა ახალი ობიექტები: წყალტუბოში საბაზანო შენობა, 120-საწოლიანი სასტუმრო, კლინიკური სანატორიუმი, ძენჯში—სანატორიუმი და პოლიკლინიკა, უწერაში—პოლიკლინიკა, ახტალაში—პანსიონატი, წყალტუბოსა და ბორჯომში ყველა სანატორიუმი გადაყვანილ იქნა მთელი წლის მუშაობაზე (ბორჯომში ძველ ფონდს 60 საწოლი მიემატა). შედარებით კარგად მუშაობდნენ წყალტუბო, ბორჯომი, გაგრა, საირმე, ახტალა და სხვა კურორტები.

მაგრამ, როგორც კურორტების მუშაკთა აქტივის ამხსნელ თათბირზე გამოირკვა, ჩვენი კურორტების მუშაობაში მრავალ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი. მთავარი ის არის, რომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა დღემდე ვერ მოახერხეს კურორტების მუშაკთა, სამედიცინო პერსონალის მუდმივი და გამოცდილი კადრის შექმნა და შენარჩუნება. კადრების დინადობას გასულ სეზონში ყველაზე მეტად ადგილი ჰქონდა კურორტ აბასთუმანში. აქ უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში კურორტის 22 დირექტორი გამოსცვალეს, ყურადღება არ ექცეოდა ექიმებისა და სპეციალისტებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ძალიან ცოტა კეთდება ჩვენი კურორტების სამკურნალო ფაქტორებისა და თვისებების მეცნიერულად შესწავლისათვის. ადგილებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას სეზონური ხასიათი ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტი სათავეში ვერ ჩაუდგა ამ საქმეს. კურორტოლოგიის ინსტიტუტმა თავი ვერ გაართვა თავის ძირითად საქმეს და ხელი მოაწყო ისეთი „პრობლემების“ ხელახლა შესწავლას, რომლებიც სხვების მიერ დიდი ხნის წინათ იყო შესწავლილი და დამუშავებული.

მრავალი ნაკლოვანება ახასიათებდა სამკურნალო საქმესაც. მტკიცედ არ იყო დანერგილი ავადმყოფებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, წყალტუბოს, ბორჯომის და სხვ. სამკურნალო წყაროების ხმარების დროს შემოღებული იყო ტრაფარეტული საექიმო დარიგება: „სამჯერ დღეში“, არ ხდებოდა სამკურნალო-სამკურნალო ფაქტორების კომპლექსურად გამოყენება, სუსტად ტარდებოდა მკურნალობის კომბინირებული მეთოდები, არ ზრუნავდნენ სამკურნალო ფიზკულტურის მასობრივად დანერგვისათვის. ზოგიერთ კურორტზე (ქობულეთი, ბახმარო, ძენჯი, შოვი და სხვ.) სათანადო დონეზე არ იყო დაყენებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

გასულ წელს შედარებით უკეთ იყო ორგანიზებული ახალი მშენებლობა და ძველი ფონდის შეკეთება — რეკონსტრუქცია. მიუხედავად ამისა, ცალკეულ კურორტებზე ადგილი ჰქონდა გადახარჯვას, უპროექტო, უხარჯთაღრიცხვო და უტიტულო მშენებლობას. მაგალითად, ბორჯომის ჰიდროელსადგურის რემონტისათვის ხარჯთაღრიცხვა არ შეუდგენიათ, გაგრაში ჰიგიენური აბანოს აგება ისე დაიწყეს, რომ არც სატიტულო სიაში ყოფილა შეტანილი და საკურორტო სამმართველოსაც ამის ნებართვა არ მიუცია. იყო შემთხვევა, როცა დამთავრებულ ობიექტებს ექსპლოატაციაში შეუმოწმებლად და უაქტოდ უშვებდნენ. მაგალითად, მენჯში საბაზაო შენობა და პოლიკლინიკა ისე გახსნეს, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არ შეუდგენიათ. ასევე მოხდა წყალტუბოში, გაგრაში, შოვში და სხვ.

ქობულეთის ჰიგიენური აბანო მეოთხე წელია შენდება, საკურორტო სამმართველომ ეს მშენებლობა ყოველგვარი მასალითა და თანხით მოამარაგა, მაგრამ აბანოს მშენებლობა დღესაც არ არის დამთავრებული. აბანოს ქვაბები ჯერ ქვეშ ჰყრია, იქანგება. ფუჭდება, მაგრამ ეს დიდად არ აწუხებს აჭარის საკურორტო სამმართველოს მუშაკებსა და მის ხელმძღვანელს ამხ. შ. მხეიძეს. ასეთსავე მდგომარეობაშია ჯავის წყალსადენისა და ელექტროსადგურის მშენებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კურორტზე არსებობს მომარაგების განყოფილება, სანატორიუმებს ჰყავთ მომმარაგებლები, მომარაგების საქმე მაინც არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მთელ რიგ სანატორიუმებს აკლიათ რბილი და მაგარი ინვენტარი, თეთრეული და სხვ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის „მედმომარაგება“ ნაკლებად ინტერესდება ამ საქმით, ხოლო თვით კურორტების მუშაკთა შორის საკმაოდ ფესვგადგმულია სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება.

საქართველოს და აფხაზეთის კურორტგაერთობა, ცეკავშირი და საქკავშირობა ცუდად ხელმძღვანელობენ კურორტების საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმეს. კურორტები და სანატორიუმები სრულიად არ მარაგდებიან ხილ-ბოსტნეულით, მწვანილით

ЗЛОЙ ГЕНИЙ ЛЕНИНА

ВЧЕРА, СЕГОДНЯ И ЗАВТРА

ЗАВЕЩАНИЕ ЛЕНИНА

ЛЕНИН И ЖЕНЩИНА

ЛЕНИН И ДЕТИ

ЛЕНИН И ИСКУССТВО

ЛЕНИН И ЛИТЕРАТУРА

ЛЕНИН И ЕВРЕЙСКИЙ ВОПРОС

ЛЕНИН И ЦЕРКОВЬ

ЛЕНИН И ЕГО ВРАГИ

ЛЕНИН И ЕГО ДРУЗЬЯ

ЛЕНИН И ЕГО ПАРТИЯ

ЛЕНИН И ЕГО ПАРТИЯ

**ЛЕНИН И ЕГО ПАРТИ